გ. ახვლედიანი.

# ფონეტიკა

# განაკვეთები.

ტფილისი
1931.

ფ-571

ბიბლიოთეკა

# სამეტყველო ბგერა და წერა.
## (კონსპექტი)

სანამ გავარკვევდეთ სამეტყველო ბგერისა და წერის ურთიერთობის საკითხს ისტორიულად და გენეტიკურად, საჭიროა განვიხილოთ წინასწარ შემდეგი საკითხები:

## 1. დამდგარი და გარდამავალი ბგერები.

ჩვეულებრივ ჩვენ ვამბობთ: ესა და ეს ბგერა ასე იწერება, და ვგულისხმობთ, რომ ჩვენს მიერ მეტყველებაში წარმოთქმულ ყოველ ბგერას თავისი გამოსახულება აქვს წერაში. სინამდვილეში რომ ეს ასე არ არის, ამაში დაგვარწმუნებს შემდეგი ანალიზი:

ჩვენ რომ აქამდე ბგერებს ვასახელებდით და მათ წარმოთქმისა და გავლენების პირობებს ვარკვევდით, იძულებულნი ვიყავით გვევარკვია მხოლოდ, ასე ვთქვათ, მათი წარმომადგენლები, მუდმივი ტიპები; სინამდვილეში კი, ე. ი. წარმოთქმულ სიტყვაში, ყოველი ბგერა ამა თუ იმ ნიუანსის მატარებელია იმის მიხედვით, თუ რა მეზობლობაშია სამეტყველო ბგერა წარმოთქმულ სიტყვაში. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ბ ბე და ბუ სიტყვებში: ბ-ს დაწყებისასვე (ე. ი. შეხვედრის მომენტშივე) ჩანს, თუ რა ხასიათის ხმოვანი (ე. ი. ე თუ უ) მოყვება ბ-ს (წარმოთქვით ბე და ბუ სარკის წინ!); აქვე სარკე არ მოიხმარება და თქვენ უკვე ხედავთ, რომ ტუჩები შესაფერისად მოიკუმება: პირველ სიტყვაში (ბე) ტუჩებს თითქმის ინდიფერენტული მდგომარეობა